არტანუჯი

NATIONAL ACADEMY OF GEORGIAN SCIENCES

NATIONAL COMMITTEE OF GEORGIAN HISTORY

GEORGIAN DIPLOMACY

ANNUAL

20

Editor-in-Chief

ROIN METREVELI

TBILISI 2024

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი

ქართული დიპლომატია

წელიწდეული

20

მთავარი რედაქტორი

როინ მეტრეველი

თბილისი 2024

მთავარი რედაქტორი

როინ მეტრეველი

სარედაქციო კოლეგია

ბუბა კუდავა – მთავარი რედაქტორის მოადგილე
ეთერ გაიდოშვილი – მდივანი
ჰიროტაკე მაედა (იაპონია)
სერგო ვარდოსანიძე
ზურაბ პაპასქირი
გოჩა საითიძე

© საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი, 2024.
© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2024.

ISSN 1512-1518

სარჩევი

საქართველოს ისტორია

როინ მეტრეველი

განათლება და კულტურა საქართველოში (1900-1917).....11

ნიკო ჯავახიშვილი

ბალტიისპირეთის ასახვა ქართულ საზოგადოებრივ
აზროვნებაში (XVIII საუკუნე)..... 48

შოთა ვადაჭკორია

რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში
და ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზანმიმართული
პროვოცირება 60

ნინო ჯაველიძე

კათოლიკური სიმბოლო საქართველოს სახელმწიფო
დროშაზე 94

საქართველოს ეკლესიის ისტორია

ქეთევან პავლიაშვილი

თანამედროვე საეკლესიო პროცესები ისტორიულ
სამაჩაბლოში.....116

ქეთევან პავლიაშვილი

საეკლესიო პროცესები აფხაზეთში (2005-2022).....130

დიპლომატიის ისტორია

რომან გოგოლაური

საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის
საკითხებისთვის XIV საუკუნის 80-90-იან წლებში.....142

კახაბერ გლოველი

იმერეთ-ახალციხის საფაშოს ურთიერთობა და საგარეო ორიენტაცია 1784-1790 წლებში 154

ჯემალ კარალიძე

რუსეთ-ოსმალეთის 1878-1879 წლების ხელშეკრულებები – ახალი გეოპოლიტიკური რეალობა კავკასიაში 177

დავით გეგეჭკორი

ჰენრი კისინჯერი, მაქოს დიპლომატია და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი 196

გივი ლობჟანიძე

საკონსულო სამართალი – დიპლომატიის ქვაკუთხედი.....222

ზურაბ ხონელიძე

საუნივერსიტეტო დიპლომატია მდგრადი მშვიდობის მშენებლობისთვის 265

გელა ცაავა

თანამედროვე აფხაზეთის ე. წ. საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიური ურთიერთობების მთავარი მიმართულებები.....303

წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია

ვახტანგ გურული, გვანცა ბურდული

ქართლ-კახეთის სამეფო და რუსეთის იმპერია. დოკუმენტები და მასალები (1799 წლის აპრილი – 1800 წლის აგვისტო) 327

ვახტანგ გურული

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. ნიახურას (კაკაბეთის) ბრძოლა. დოკუმენტები და მასალები 397

დალი კანდელაკი

კავკასიაში მოგზაური უცხოელები რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამსახურში 447

გიორგი სოსიაშვილი

შოტლანდიელი ექიმი, ბოტანიკოსი და მოგზაური რობერტ ლაიელი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ.....466

ოთარ ნიკოლეიშვილი

ბათუმი ამერიკულ ისტორიულ წყაროებსა და დიპლომატიურ კორესპოდენციებში.....501

გოდერძი ვაჭრიძე, სულხან კუპრაშვილი

„კავკაზსკი კალენდარში“ დაცული ცნობები XIX საუკუნის I ნახევრის იმერეთის შესახებ.....525

მერაბ კალანდაძე

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის არასახარბიელო მემკვიდრეობა.....556

რეცენზია

ლია მელიქიშვილი

რეცენზია „კავკასიის ისტორიის“ ორტომეულზე.....585

CONTENTS

HISTORY OF GEORGIA

ROIN METREVELI
Education and Culture in Georgia (1900-1917) 11

NIKO JAVAKHISHVILI
The Reflection of Baltic Area Countries in Georgian Public Thinking (XVIII century)..... 48

SHOTA VADACHKORIA
Russia's geopolitical interests in the South Caucasus and deliberate provocation of the Georgian-Ossetian conflict..... 60

NINO JAVELIDZE
A Catholic symbol on the state flag of Georgia 94

HISTORY OF GEORGIAN CHURCH

KETEVAN PAVLIASHVILI
Modern Church processes in historical Samachablo..... 116

KETEVAN PAVLIASHVILI
Ecclesiastical processes in Abkhazia (2005-2022)..... 130

HISTORY OF DIPLOMACY

ROMAN GOGOLAURI
On the issues of relations between Georgia and the Golden Horde in the 80s-90s of the XIV century 142

KAKHABER GLOVELI
Imereti – Akhaltsikhe relationship and foreign orientation in 1784-1790..... 154

JEMAL KARALIDZE
Russian-Ottoman treaties of 1878-1879 – New geopolitical reality in the Caucasus 177

DAVID GEGECHKORI
Henry Kissinger, Shuttle Diplomacy and the Middle East conflict 196

GIVI LOBZHANIDZE
Consular Law – the Cornerstone of Diplomacy 222

ZURAB KHONELIDZE
University diplomacy for sustainable peace construction 265

GELA TSAAVA
Main directions of the foreign policy and diplomatic relations of the so-called Modern Abkhazia 303

HISTORIOGRAPHY AND PUBLICATION

VAKHTANG GURULI, GVANTSA BURDULI
The Kingdom of Kartl-Kakheti and the Russian Empire. Documents and materials (April 1799 – August 1800) 327

VAKHTANG GURULI
From the history of Georgia-Russia relations; Battle of Niakhura (Kakabeti) – Documents and materials 397

DALI KANDELAKI
Foreigners travelling in the Caucasus in the service of the Russian Academy of Sciences 447

GIORGI SOSIASHVILI
Scottish doctor, botanist and traveler Robert Lyall and his notes about Georgia 466

OTAR NIKOLEISHVILI
Batumi in American historical sources and in diplomatic correspondences 501

GODERDZI VACHRIDZE, SULKHAN KUPRASHVILI
Information about Imereti in the 1st half of the 19th century preserved in the “Kavkazskiy kalendar” 525

MERAB KALANDADZE
Unfavorable legacy of modern Georgian historiography..... 556

REJOINDER

LIA MELIKISHVILI
Review of the two-volume edition of "History of the Caucasus"..... 585

კავკასიაში მოგზაური უცხოელები რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამსახურში

დალი კანდელაკი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

XVIII საუკუნე რუსეთში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გარდასახვით გამოირჩეოდა. მოსკოვის სახელმწიფო რუსეთის იმპერიად გარდაიქმნა. სხვადასხვა სახის მასშტაბურ ცვლილებებთან ერთად ქვეყნის შესწავლის სხვა მიზნები და ფორმები განისაზღვრა. პიოტრ I-მა ამოცანად დასახა იმპერიის ყოვლისმომცველი აღწერა, რაც მოიცავდა მისი რესურსების გამოვლენასაც. ამ მიზნით სხვადასხვა უწყების მიერ იქმნებოდა ექსპედიციები. მაგ., მედიცინის კოლეგიამ მკვლევრები გაგზავნა მცენარეების, ცხოველებისა და მინერალების მოსაძიებლად, რომლებსაც სამკურნალო თვისებები ჰქონდათ. საზღვაო უწყებამ მიზნად დაისახა კასპიის ზღვის, ბალტიის ზღვის, ჩრდილოყინულოვანი და წყნარი ოკეანეების სანაპიროების შესწავლა. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სენატის დავალებით მიმდინარეობდა ფართომასშტაბიანი კვლევები ქვეყნის ევროპულ ტერიტორიაზე. 1725 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ, ქვეყნის შესწავლის პროცესში ეს დაწესებულებაც ჩაერთო.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაგეგმილი ექსპედიციების და მათში მონაწილე უცხოელ მეცნიერთა შესახებ არაერ-

თი ნაშრომია გამოქვეყნებული ქართულ (გელაშვილი 1962; კანდელაკი 2001; ქიქოძე 1999; ჟორდანია 2005; კანდელაკი 2003; კანდელაკი 2009; კანდელაკი 2017) და უცხო ენებზე, მათ შორის რუსულად (Феклова 2012; Ткаченко 2015; Аталиков 2010; Смагина 2007; Александровская... 2012; Гнучева 1940; Берулава 1989; Копелевич 1997; Бугаев 2022; Бондарь 2016; Иодко 2011).

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიაში მრავალი საინტერესო ფურცელი ჩაიწერა 1768-1774 წლებში მოწყობილი ექსპედიციების შედეგად. ეკატერინა II-ის მმართველობისას, რუსეთს პრეტენზია ჰქონდა აქტიურად ჩართულიყო ევროპულ პოლიტიკაში, გაეფართოებინა საზღვრები, მოეპოვებინა გასასვლელი შავ ზღვაზე. შესაბამისად, იმპერიის ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ქვეყნის შესახებ მრავალფეროვანი მასალების შეგროვებას. ინტერესის სფეროში და შესაბამისად, კვლევის არეალში მოხვდა კავკასიაც და აქ არაერთი ექსპედიცია გამოიგზავნა, რომლებმაც მეცნიერების სხვადასხვა დარგს უმნიშვნელოვანესი მასალა შესძინეს.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შემდეგ, რეგიონის კვლევა ბევრად მასშტაბური გახდა – იმპერიის წარგზავნილები ამზადებდნენ ფინანსურ, სტატისტიკურ და ეკონომიკურ აღწერილობებს, რათა გაერკვიათ რეგიონში მოსახლეობის რაოდენობა და შესაბამისად, მათგან აკრეფილი გადასახადების არსი და ოდენობა, შეეფასებინათ არსებული ეკონომიკური დონე და ბუნებრივი რესურსები. ამავდროულად სამუშაოები მიმდინარეობდა სამხედრო-ტოპოგრაფიული მიმართულებით. საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ინტერესდებოდნენ კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარებით.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ ვინ იყვნენ XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ათწლეულში კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოგზავნილი ექსპედიციის წევრები, რა დავალებებით მოდიოდ-

ნენ და რა შედეგები მოუტანა მათ მიერ წარმოებულმა კვლევებმა რუსეთს.

სამეცნიერო ექსპედიციის წევრები უმეტესად გერმანული წარმოშობის მეცნიერები იყვნენ. ზოგი რუსეთში იყო დაბადებული, ზოგიც მიიწვიეს. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ექსპედიციას, მათი შემადგენლობის მიუხედავად, ჰქონდა მკაფიო სამხედრო-სტრატეგიული მიზნები. ექსპედიციის წევრების მიერ შეკრებილი ინფორმაცია მათ ნაშრომებსა და ანგარიშებში აისახა.

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში 1768 წელს ახალგაზრდა მეცნიერი, 23 წლის იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745-1781) მიიწვიეს, რათა მონაწილეობა მიეღო აკადემიის მიერ რუსეთის სხვადასხვა ტერიტორიის, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში დაგეგმილ ექსპედიციაში. სწორედ ამ წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, რომელმაც 1774 წლამდე გასტანა. რთული იყო ომის გამო მოგზაურობისას დაბრკოლებების გათვლა, თუმცა აკადემიამ ბედის ანაბარად არ მიატოვა მეცნიერები, რომლებიც რეგულარულად გზავნიდნენ ანგარიშებს გავლილი გზის შესახებ, შეგროვებულ კოლექციებს და პეტერბურგიდანაც ღებულობდნენ შესაბამის ნებართვებს დაგეგმილ მარშრუტებზე. აღსანიშნავია, რომ გერმანელ მეცნიერს ექსპედიციაში წასვლისას არ ჰქონდა სამეცნიერო წოდება. ექსპედიციის წლებში ის ჯერ აირჩიეს ადიუნკტად, ხოლო 1771 წლის 18 აპრილს აკადემიის კონფერენციაზე – აკადემიკოსად.

ახალგაზრდა მეცნიერი აკადემიაში მოღვაწეობდა 14 წლის განმავლობაში, საიდანაც შვიდი წელი ექსპედიციაში მოგზაურობას მიუძღვნა. მოგზაურობა ხშირად ისეთ ადგილებში მიმდინარეობდა, სადაც ჯერ არც ერთ მეცნიერს არ დაედგა ფეხი. ექსპედიციამ შეაგროვა უამრავი ღირებული მასალა შესასწავლი ტერიტორიების ბუნებრივი პირობების, ფლორისა და ფაუნის, მინერალებისა და რესურსების, იქ მცხოვრები ხალხის შესახებ; შეკრიბა ინფორმაციები მათი ცხოვრების წესზე, ეკონომიკასა და ვაჭრობაზე. პირველად რუსეთის იმპერიის სამეცნიერო და სახელმწიფო მი-

მოქცევაში შევიდა მდიდარი ფაქტობრივი მასალა კავკასიის შესახებ. ი. ა. გიულდენშტედტს, შეკრებილი ფასდაუდებელი მასალის გამო, კავკასიოლოგიის ფუძემდებლადაც კი მიიჩნევენ. ექსპედიციის მიერ შეგროვებული მასალა დიდი ხნის განმავლობაში მნიშვნელოვან ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდა მათთვის, ვინც სწავლობდა კავკასიას და იქ მცხოვრებ ხალხს. სამოგზაურო ჩანაწერებისაგან შედგენილი ორტომიანი ნაშრომი 1787-1791 წლებში, მისი სიკვდილის შემდეგ, პ. ს. პალასმა გამოსცა (Pallas 1787-1791).

ი. ა. გიულდენშტედტი საქართველოში 1771 წლის სექტემბრიდან მომდევნო წლის შემოდგომამდე იმყოფებოდა.[1] 25 სექტემბერს, მილლერისადმი დუშეთიდან გაგზავნილ წერილში, ის აღნიშნავს, რომ ქართველები გულთბილად დახვდნენ, უმთავრესად იმის გამო, რომ ის არის „ხაკუმი“ – ექიმი (Копелевич 1997: 43). ცნობები საქართველოს შესახებ მოცემულია ნაშრომის პირველ ტომში. ეს არის მოგზაურობის დღიური, რომელშიც მოცემულია გეოგრაფიული და საბუნებისმეტყველო, ზოგიერთი საწარმოს, აბანოების, მეურნეობის დარგების აღწერილობანი, ქალაქისა და ციხესიმაგრეების მოკლე ისტორია. ავტორი გადმოგვცემს საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, აღწერს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობას. მოგზაურმა კარგად შეამჩნია საქართველოს სისუსტე. ის აღნიშნავს, რომ ქვეყანა ისეა გაუდაბურებული და დაჩაგრული უცხოელთა შემოსევებისაგან, რომ იგი თავისი დანაწილებული მმართველობით ნაკლებ გაშენებულ, სუსტ სახელმწიფოთა რიცხვს ეკუთვნის. იგი ამბობს, რომ საქართველოს არ ძალუძს დაიცვას თავი უცხო თავდასხმათაგან, ვერ ბედავს განავითაროს როგორც საჭიროა, სამთო საქმე, ვერ უწყობს ხელს

[1] ი. ა. გიუდენშტედტის ნაშრომის ტექსტის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ეხება, ქართულ ენაზე გამოსცა და სათანადო შეფასებები მისცა ისტორიკოსმა გია გელაშვილმა და ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომია ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან.

მრეწველობის, სკოლების, ხელოვნების საერთო განვითარებას. გიულდენშტედტი სვამს საკითხს, საქართველოსათვის ძლიერი მფარველის საჭიროების თაობაზე და ასეთად რუსეთს მიიჩნევს. გიულდენშტედტს მოყვანილი აქვს ერეკლე II-ისა და სოლომონ მეფის რუსეთთან ურთიერთობის ამსახველი მოკლე, მაგრამ საფუძვლიანი ცნობები. ამ ურთიერთობის განხილვისას მეცნიერი რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის პოზიციას იზიარებს. მეცნიერი ბევრ სხვა საკითხთან ერთად საუბრობს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე და მათ განლაგებაზე პროვინციათა მიხედვით, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ; ჩამოთვლის მოსახლეობის სოციალურ ფენებს; მნიშვნელოვანი ცნობები აქვს მოცემული სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობა-ხელოსნობის შესახებ. მოგზაური დაწვრილებით ხატავს სხვადასხვა ქალაქის, დასახლებული პუნქტების სურათებს.

საქართველოში ვიზიტით აღფრთოვანებული მეცნიერი მეგობარ ოსტოდთან და აკადემიის წევრ ისტორიკოს მილლერთან გაგზავნილ წერილებში აღნიშნავდა: „განა ცოდვა არ იქნება ასეთ ქვეყანას სათანადო პატივისცემის გარეშე მოექცე? მომწონს ეს ქვეყანა და მიხარია იმაზე ფიქრი, რომ აქ ერთ წელს გავატარებ“ (Копелевич 1997: 43). კავკასიაში მოგზაურობას მეცნიერი შემდეგნაირად აჯამებს: „ამდენი გადატანილი საშიშროების შემდეგ ჩემი სული უკან რუსეთისკენ მიისწრფოდა. მე მჯეროდა, რომ რაღაც დოზით შევასრულე ჩემი ამოცანა – გავეცანი მსოფლიოსთვის ნაკლებად ცნობილი ადგილების ბუნებას და მოსახლეობას. მე ეს გავაკეთე შემოქმედის სადიდებლად, იმპერატრიცას სადიდებლად, აკადემიის სასარგებლოდ და მეცნიერების გასავითარებლად. და მე აღვივსე გამოუთქმელი მადლიერების გრძნობით ჩემი ბედის მიმართ“ (Pallas 1787: 432).

მიუხედავად ი. ა. გიულდენშტედტის ნაშრომში სხვადასხვა სახის შეცდომებისა, ექსპედიციის მიერ მოძიებული ნებისმიერი სახის მასალა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის კავკასიის შესახებ უმნიშვნელოვანესი იყო რუსეთისათვის მისი შემდგომი გეგმე-

ბის განსახორციელებლად. რუსი დეკაბრისტი პიოტრ მუხანოვი, რომელმაც კავკასიაში 1825 წელს იმოგზაურა, იოჰან ანტონ გიულდენშტედტის შესახებ წერდა: „მან პირველმა გაკვალა გზა მიუწვდომელ კავკასიამდე არეულობის პერიოდში, როცა მთიელები ჯერ კიდევ არ იმალებოდნენ ხეობებში, როცა რუსეთი და სპარსეთი წყვეტდნენ პატარა სამეფოების ბედს, მაგრამ განაჩენი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გამოტანილი“ (Муханов 1991: 91). ნამდვილად კავკასიის ქვეყნებისათვის განაჩენის გამოსატანად იგეგმებოდა და ხორციელდებოდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მიერ XVIII საუკუნეში დაგეგმილი ექსპედიციები. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე რუსეთის იმპერიას ყოველმხრივ უნდა შეესწავლა აქ მცხოვრები ხალხი, რათა შემოერთების შემდეგ მარტივად ემართა ისინი.

ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია კვლავ აგრძელებდა კავკასიაში ექსპედიციების გამოგზავნას, რომლებშიც არაერთმა ევროპელმა მიიღო მონაწილეობა. ცნობილია, რომ მეცნიერთა გარდა ამ ექსპედიციებში სჭირდებოდათ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: მხატვრები, თარჯიმნები, გამცილებლები და სხვ. ერთ-ერთ ექსპედიციაში, რომელსაც აპოლოს აპოლოსის ძე მუსინ-პუშკინი[1] ხელმძღვანელობდა, მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა, 22 წლის გერმანელმა მხატვარმა, ჰაინრიხ თეოდორ ველემ[2]. მისი ნახატებიდან ირკვევა, რომ

---

1 გრაფი აპოლოს აპოლოსის ძე მუსინ-პუშკინი (1760-1805 წწ.) – ცნობილი რუსი მეცნიერი; მოღვაწეობდა ქიმიის, მინერალოგიის, ფიზიკისა და ბოტანიკის დარგებში. 1802 წელს გამოემართა საქართველოში ექსპედიციით; გარდაიცვალა თბილისში.

2 ჰაინრიხ თეოდორ ველე – დაიბადა 1778 წელს ფიორსტგენში, სორბი მღვდლის ოჯახში. განათლება გიორლიცის სამხატვრო სკოლაში და დრეზდენის სამხატვრო აკადემიაში მიიღო. 1801 წელს გაემგზავრა სანკტ-პეტერბურგში და მონაწილეობა მიიღო მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწყობილ ექსპედიციაში. 1804 წელს დაავადმყოფებული დაბრუნდა ლაუზიცში. გარდაიცვალა 1805 წელს ბაუცენში, 26 წლის ასაკში.

ის ექსპედიციაში 1802 წლიდან ჩაერთო. მას დავალებული ჰქონდა კარტოგრაფიული რუკების შედგენა. ამ სამუშაოს პარალელურად ის ყოველთვის ახერხებდა დროის გამონახვას ხატვისათვის. მისი ნახატები საქართველოს ხედებითა და თბილისის პეიზაჟებით გერმანიის მუზეუმებშია გამოფენილი. ჰ.თ. ველეს ჩანაწერები კავკასიაში მოგზაურობის შესახებ ჯერ არ არის მიკვლეული, მაგრამ მისი ნახატებისა და ა. ა. მუსინ-პუშკინის ჩანაწერების მიხედვით მრავალმა მეცნიერმა (Krautz 1992; Lemper 1978; Grigorjew 1975; Mirtschin 2005; Fröhlich 2002) სცადა აღედგინა ის გზა, რომელიც გერმანელმა მხატვარმა მოგზაურობისას განვლო.

გერმანელი მეცნიერი ედუარდ ლემპერი ნაშრომში „ჰაირიხ თეოდორ ველე“ Lemper 1978) ისტორიულ ფაქტებსა და მხატვრის ნახატებზე დაყრდნობით ცდილობს აღადგინოს ექსპედიციის მარშრუტი და ველეს მონაწილეობის ფაქტები. ჰ. თ. ველემ 1801 წელს გერმანიაში მოგზაურ საიმპერატორო ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტსა და საიმპერატორო ბიბლიოთეკების მთავარ დირექტორს გრაფ ოგიუსტ დე შუაზელ-გუფიეს[1] რუსეთის სამეფო კარზე წასვლის თანხმობა მისცა. სავარაუდოდ, ახალგაზრდა მხატვარი უკვე 1801 წელს ჩავიდა პეტერბურგში, სადაც 1801/02 წლის ზამთარი გაატარა. ამასობაში მეცნიერებათა აკადემიაში სამხედრო და სამეცნიერო ექსპედიცია მზადდებოდა, რომელსაც გრაფი ა. ა. მუსინ-პუშკინი ხელმძღვანელობდა. ამ ექსპედიციის მიზანი 1801 წელს რუსეთს შემოერთებული საქართველო იყო.

ქალაქ ციტაუში კერძო საკუთრებაში მყოფი ერთი ნახატის ხელმოწერის მიხედვით ველე 1802 წელს უკვე თბილისში იყო. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სულაც არ იყო ისე, როგორც ისტორიულ წყაროებს მოკლებულ ველეს ბიოგრაფიაში არის

---

[1] ოგიუსტ დე შუაზელ-გუფიე (რუსეთში მოიხსენიებდნენ – გავრილ ავგუსტის ძე, 1752-1817) – ფრანგი დიპლომატი, საფრანგეთის ელჩი ოსმალეთის იმპერიაში 1784 წლიდან, საფრანგეთის აკადემიის წევრი, არქეოლოგი, მკვლევარი და ბერძნული სიძველეების შემგროვებელი.

წარმოსახული, თითქოს მეფე ალექსანდრ I-მა ველე კავკასიაში, სასწავლო მოგზაურობაში დიდსულოვნად გაუშვა და დასაცავად სამხედროები გააყოლა. მასთან ერთად პეტერბურგიდან თბილისში, მაშინდელ ტიფლისში, გაიგზავნა ცხენოსანი კაზაკების 500-კაციანი ჯგუფი, მონადირეებისა და არტილერიის შენაერთი რვა ქვემეხით (Lemper 1978:15). ამ ჯგუფს გაჰყვა მხატვარი ჰაინრიხ თეოდორ ველე და ეს სულაც არ გამოიყურებოდა როგორც სამხატვრო და საგანმანათლებლო მოგზაურობა. კავკასიის მისადგომებამდე მხატვრის არც ერთი სურათი არ არსებობს, რომელზეც ასახული იქნებოდა ექსპედიციის ეს გრძელი გზა (Lemper 1978:16).

გერმანელი მეცნიერი ე. ლემპერი საბჭოთა მწერლის ალექსეი გრიგორიევის (Grigorjew 1975) მიერ საქართველოს სახელმწიფო არქივში მიკვლეულ გრაფ მუსინ-პუშკინის საექსპედიციო ჩანაწერებსა და სხვა საბუთებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ „ამ დოკუმენტების მიხედვით 1799 წელს საქართველოში უკვე ნამყოფი სამთო საქმის მცოდნე გრაფის დავალება წიაღისეული საბადოების მოძიება იყო. მან შესთავაზა თავის დროზე მეფე პაველ I-ს საქართველოს მეფე გიორგი XII-სთან სპილენძის გადამამუშავებელი ქარხნების დასაარსებლად მოლაპარაკების წარმოება და მათ დასაცავად სპეციალური სამთო ბატალიონის შექმნა... 1801 წლის 19 იანვარს ალექსანდრ I-მა ბრძანება გასცა საქართველოში მუსინ-პუშკინის წინადადებების მიხედვით რუსული სამთამადნო წარმოება ჩამოეყალიბებინათ. ამისათვის 12000 ვერცხლი რუბლი გამოიყო. იმ ხუთ მოხელეს შორის, რომლებიც გრაფს 1802 წლის ექსპედიციაში თან გააყოლეს, შემორჩენილი სახელფასო ფურცლის მიხედვით იყვნენ: კაპიტანი ჩევკაჩოვი, მთიელთა ენების თარჯიმანი – 400 რუბლი; ადამი, მოსკოვის უნივერსიტეტის მედიცინის სტუდენტი – 500 რუბლი; გალცო – გუბერნიის მდივანი – 500 რუბლი; გარდა ამისა, ორი მოხელე – 175 რუბლი. გრაფ მუსინ-პუშკინის ქაღალდებში, რომლებიც მეფე ალექსანდრ I-ის ხსოვნის კაბინეტში არის ნაპოვნი, ბოლო ორ ადგილზე დასახელებულთაგან ვინმე რუსი შიშმარიოვის შემდეგ წერია: საქსონელ

ველეს 175 რუბლი. ასეთი ექსპედიციისას მხატვრის თან წაყვანას მხოლოდ ერთი მიზეზი შეიძლება ჰქონოდა: მას კარტოგრაფად უნდა ემუშავა. სხვადასხვა ლიტერატურაში მხატვარზე წერდნენ, რომ ის ვალდებული იყო თავისი ნახატები პეტერბურგში გაეგზავნა. თუ ამაში რაიმე სიმართლეა, მაშინ ალბათ მხოლოდ იმ სურათებს გზავნიდა, რომლებსაც სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა და გასაიდუმლოებული იყო, და არა მის ცნობილ სურათებს. ჩვენს ამ მოსაზრებას ადასტურებს ახლახან აღმოჩენილი (ალბათ, 1978 წელს, – დ. კ.), ფრაგმენტებად შემონახული გრაფ მუსინ-პუშკინის ექსპედიციის დღიური: ველე განაგებდა თან წაღებულ რუქებს, რომლებიც ადგილზე უნდა შეევსო ან შეესწორებინა. მისთვის ჩაბარებულ ამ განძს ველე კავკასიაში ერთ-ერთი თავდასხმის დროს მამაცურად იცავდა. ექსპედიციის ხელმძღვანელის მონათხრობის მიხედვით ბრძოლისას სამი კაზაკი დაიღუპა. ერთი მთის ბურღი კი იქაურებმა თან წაიღეს. მუსინ-პუშკინს ამ ექსპედიციაში მხატვრის წაყვანის კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა: მხატვარს ტოპოგრაფიულად უნდა აღებეჭდა სპილენძის საბადოებისაკენ მიმავალი სრულიად მოწყვეტილი გზა. რა თქმა უნდა, ასეთი ნახატები სახელმწიფო არქივებში მიდიოდა. ველე მხოლოდ უბრალო ლანდშაფტურ ნახატებს იტოვებდა თავისთვის (Lemper 1978:16).

ა.ა.მუსინ-პუშკინის დღიურის მიხედვით ექსპედიცია 1802 წლის 20 თებერვალს დაიძრა პეტერბურგიდან და იმავე წლის მაისის ბოლოს თბილისში ჩავიდა. იქ შექმნილი ბევრი ნახატის და ხელისმოწერის – „ველე ტიფლისში“ – გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ მხატვარი ამ ქალაქში დიდხანს დარჩა. თბილისიდან მოწყობილი გასვლითი ექსპედიციები ველემ მთელ რიგ ნახატებში დააფიქსირა – მათში ჩანს უცხო ბუნებისა და საოცრად ლამაზი არქიტექტურისაგან მიღებული შთაბეჭდილებები (Lemper 1978:17). ველეს უკან დაბრუნების გზა სრულიად უცნობია. მხატვარი მარტოდ მოგზაურობისას სავარაუდოდ ავად გახდა. საუკეთესო გამოსავალი ამ შემთხვევაში მისთვის უკან, ჩრდილოეთისაკენ, რუსეთის საქართველოში დაბრუნება უნდა ყოფილიყო (Lemper 1978:18).

ველეს სამშობლოში დაბრუნების შესახებ სრული გაურკვევლობაა. არ არსებობს ამის დამადასტურებელი ნახატები. 1803 წელს გიორლიცში გამოცემული ოტტოს ობერლაუზიცელ მწერლების ლექსიკონის მესამე ტომში იკითხება, რომ ველე სამხრეთ რუსეთსა და სპარსეთში იმყოფება, უკან დაბრუნებას პალესტინის, ეგვიპტის, იტალიის, მარსელის, ინგლისისა და ჰამბურგის გავლით აპირებს და რუსეთში დაბრუნებას გეგმავს. ასეთ ცნობას ამ ლექსიკონის ავტორი ალბათ მხოლოდ დამაჯერებელი მონათხრობის საფუძველზე თუ გააკეთებდა. ველე, დაქანცული და ავადმყოფი, სავარაუდოდ, რომელიმე სამხედრო ტრანსპორტით დაბრუნდა შინ. ეს ალბათ 1804 წლის დასაწყისისთვის მოხდა (Lemper 1978:19). 1804 წელს მხატვარი აქტიურად მუშაობდა. მალე საშინელმა სენმა შეუბრუნა და საწოლს მიაჯაჭვა. ავადმყოფი ველე თავის დაქვრივებულ დედასთან ბაუცენში იმყოფებოდა. 1805 წლის პირველ იანვარს ჰაინრიხ თეოდორ ველე 27 წლის ასაკში ავადმყოფობისაგან – „გამოფიტვისაგან“, ე. ი. სავარაუდოდ, ტუბერკულოზით გარდაიცვალა (Lemper 1978: 20).

კავკასიაში რუსეთის მყარად დასამკვიდრებლად, მისი კოლონიური პოლიტიკის სრულფასოვნად გატარებისათვის მნიშვნელოვანი იყო კავკასიის ხალხთა ისტორიისა და ენების მეცნიერული შესწავლა. რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემია ამ მიზნით კვლავ იწვევდა მეცნიერებს უცხოეთიდან. 1804 წელს მიიწვიეს 21 წლის გერმანელი ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროტი (1783-1835).[1]

1807 წელს კლაპროტი მიავლინეს კავკასიაში ფილოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული კვლევების ჩასატარებლად.

[1] ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროტი (1783-1835) – გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე და ენათმეცნიერი, პარიზის, ლონდონის, კალკუტის, ბომბეის აზიური სამეცნიერო საზოგადოების განყოფილებების საბჭოების წევრი, „აზიური ჟურნალის“ თანამშრომელი მრავალი წლის განმავლობაში, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტი და აკადემიკოსი (1804-1817 წლებში).

მას დაევალა კრიტიკულად შეემოწმებინა და შეევსო მისი წინამორბედი კავკასიის მცოდნეთა შრომები. აქ ის დარჩა მთელი 1808 წლის განმავლობაში. აქედან 6 თვე დაჰყო საქართველოში. თბილისში ის ჩამოვიდა 13 იანვარს, საიდანაც მან რამდენიმე გასვლა მოაწყო ივნისის ბოლომდე. კლაპროტის მოგზაურობა კავკასიაში აისახა მის წიგნებში: „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში 1807 და 1808 წლებში“ (Klaproth 1812-1814); „მოგზაურობას“ ერთვის კავკასიური ენების შესახებ მისი საგანგებო გამოკვლევა („კავკასიური ენები“); „აღმოსავლეთ კავკასიის გეოგრაფიულ-ისტორიული აღწერა“ (Klaproth 1814 a); „კასპიისა და შავ ზღვებს შორის მდებარე რუსული პროვინციების აღწერა“ (Klaproth 1814 b). შეიძლება ითქვას, რომ კლაპროტი გიულდენშტედტის შემდეგ თავისი ცოდნითა და ცნობების სიუხვე-სანდოობით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა სწავლულ მოგზაურთა შორის (გელაშვილი 2016: 229-230).

ჰ. ი. ფონ კლაპროტი წიგნის – „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში 1807 და 1808 წლებში“ – შესავალში აღნიშნავს, რომ რუსეთმა დაინახა კავკასიის უკეთესად შეწავლის აუცილებლობა არა მხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით, არამედ მისი მოსახლეობის წეს-ჩვეულებების და სხვ. ამ მიზნით, 1767 წლიდან ეკატერინა II-ის მითითებით, სამეცნიერო აკადემიის წევრები მონაწილეობას ღებულობდნენ ექსპედიციებში, რომლებიც მთელი იმპერიის მასშტაბით ეწყობოდა. გერმანელი მეცნიერი ასევე ეხება იოჰან ანტონ გიულდენშტედტის, იაკობ რაინეგსის, გრაფ იან პოტოცკის დამსახურებას კავკასიის კვლევის საქმეში. ის უცხოელ მკითხველს მოუთხრობს XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ; მის თვალწინ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აცოცხლებს ისტორიულ მოვლენებს: ჰყვება ტოტლებენის ქმედებებზე საქართველოში, რუსეთის იმპერატორების მანიფესტებზე, პირველ რუს მთავარმართებლებზე და სხვ.

თანამედროვე რუსი მკვლევრი, დ. ბუგაევი, სტატიაში – „საქართველოს სატრანსპორტო მიუწვდომლობა 1770-1860-იან წლებ-

ში“ (Бугаев 2022: 1-13) – გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ჰ. ი. ფონ კლაპროტის ნაშრომი მრავალი თვალსაზრისით ანტირუსულ პოზიციას გამოხატავს: „ი. ჰ. ფონ კლაპროტის 1812-1814 წლებში გამოცემული ნაშრომი ბერლინსა და ჰალეში, გერმანულად დაიწერა მოგზაურობიდან 4-7 წლის შემდეგ, რაც უკავშირდებოდა მეცნიერის არაოფიციალურ გადასახლებას რუსეთიდან გერმანიის ქალაქებში, შემდეგ კი საფრანგეთში. მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიცია განხორციელდა რუსეთის ხაზინის ხარჯზე, მის გამოცემაზე მუშაობა მიმდინარეობდა რუსულ და ევროპულ საზოგადოებებს შორის მზარდი კონფრონტაციის, 1812-1815 წლებში ღია სამხედრო დაპირისპირების, პუბლიკაციისათვის მომზადებული ჩანაწერების შორ მანძილებზე არასაჭირო გადაადგილების პირობებში, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა პუბლიკაციაში რუსეთის წინააღმდეგ გამოთქმული განცხადებების სისრულესა და სიმკაცრეზე“ (Бугаев 2022: 1-13).

ჰ. ი. ფონ კლაპროტს, კავკასიიდან რუსეთში დაბრუნების შემდეგ, აკადემიასთან ურთიერთობა საფინანსო საკითხებზე დაეძაბა. შემდეგ ეს გაურკვევლობა თითქოს გამოსწორდა და 1810 წლის ბოლოს ის საქმიანი ვიზიტით გერმანიაში მიავლინეს, საიდანაც რუსეთში აღარ დაბრუნებულა. ჰ. ი. ფონ კლაპროტის მიერ მეცნიერებათა აკადემიაში 1812 წლის 25 ივნისს გაგზავნილი წერილიდან აშკარად იკვეთება უკმაყოფილება ამ ორგანიზაციის მიმართ: „უკვე დიდი ხანია ველოდები პასუხს განათლების მინისტრისგან ჩემ მიერ მის მიმართ მიწერილ სხვადასხვა წერილზე, მაგრამ რადგან არ მიმიღია, იძულებული ვარ, მივმართო აკადემიის კონფერენციას.[1] როცა 1804 წელს მივიღე აკადემიის მიერ შემოთავაზებული ადიუნკტის თანამდებობა, ვფიქრობდი, რომ

[1] კონფერენცია ან აკადემიკოსების სწავლული კრება, შემდეგში საერთო კრება და განყოფილებების კრება, მეცნიერებათა აკადემიის დაარსებიდან წარმოადგენს მის უმაღლეს სამეცნიერო ორგანოს.

საქმე მქონდა წოდებასთან[1], რომელიც გულმოდგინედ ზრუნავდა მეცნიერების გავრცელება-გაუმჯობესებაზე, და მთავრობასთან, რომელიც წმინდად იცავდა თავის სიტყვას და არ გამოიყენებდა ეშმაკურ ხრიკებს უცხოელის წინააღმდეგ. შესაბამისად, მე არ მქონია უნდობლობა მოწვევის წერილის ორაზროვანი მუხლის მიმართ, რომელშიც ნათქვამია: „სანქტ-პეტერბურგში ჩასვლის დღიდან მიიღებთ წლიურ ხელფასს ათასი რუბლის ოდენობით, რომელსაც მოგცემენ ყოველ ორ თვეში ერთხელ და იმავე მონეტით, რომლითაც იღებენ ხელფასს სხვა აკადემიკოსები და ადიუნკტები“. მე ვერაფრით ვივარაუდებდი, რომ სიტყვა მონეტა შეიძლება ორმაგ ინტერპრეტაციას ექვემდებარებოდეს და ვერ ვიფიქრებდი, რომ დვინას მიღმა შეეძლოთ ქაღალდის ფულის მოჭრა ან მისი მონეტად გასაღება, ნუმიზმატიკოსების, პოლიტეკონომისტების და ქიმიკოსების გაკიცხვის გარეშე. სანამ მთავრობა მხოლოდ 20 პროცენტით ატყუებდა თავის მოხელეებს, მანამდე ისეთ უსარგებლო დაწესებულებაში დანიშნულ ჩინოვნიკს, როგორიც აკადემია იყო, შეეძლო ასეთი ზარალის ატანა, მაგრამ შეუძლებელია სახელმწიფოს ემსახურო ყოველწლიურად შემცირებული ხელფასით და საკუთარი შრომა მიუძღვნა მას ახლა იმ ფასის მეოთხედში, რასაც შვიდი წლის წინ ღებულობდა. უკვე გასული წლის ბოლოს ამ მიზეზით ვთხოვე ბატონ მინისტრს, ჩემთვის გამოეთხოვა ისეთი წლიური ანაზღაურება, რომელიც ვერცხლის მონეტაში 1000 რუბლს უტოლდება, რასაც დანიშვნის დროს დამპირდა, რადგან რუბლი დამატების გარეშე არის რეალური, წესიერი, ვერცხლის რუბლი, რადგან სანკტ-პეტერბურგელი აკადემიკოსები, მომატების გარეშე, უნდა იყვნენ ნამდვილი, წესიერი, სწავლული აკადემიკოსები. ამავდროულად, მინისტრს ვთხოვე ჩემი მოთხოვნის დაკმაყოფილება ან გათავისუფლება. და რადგან ამაზე პასუხი არ მიმიღია, მოვითხოვ თავად აკადემიისგან გათავისუფლებას,

---

[1] Сословие (რუს.) – რევოლუციამდელ რუსეთში პროფესიული ინტერესებით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი.

რაც ჩემი მოწვევის მე-6 მუხლის შესაბამისად, დაუბრკოლებლად უნდა დაკმაყოფილდეს ექვსი თვით ადრე გაკეთებული განცხადების საფუძველზე, რომელიც სამსახურიდან გათავისუფლებას ითვალისწინებს. გათავისუფლებას მე ვთვლი უკვე მიღებულად, რადგან ნახევარი წლის წინ ვითხოვდი ამას მინისტრისგან. ჩემი შემდეგი ხელფასი 1812 წლის 1 ივლისამდე, რომელიც უმაღლესი განკარგულების საფუძველზე უნდა გადამეხადოს, რუბლზე 50 შტივერის[1] დამატებით, რადგან უმაღლესი განკარგულების საფუძველზე გამაგზავნეს უცხო ქვეყნებში; ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ დარჩება ჩემთან გირაოში მოჩუქურთმებული ჩინური ასოები, თუმცა გთხოვთ, უმოკლეს დროში გამოისყიდოთ. აკადემიის მიერ ჩემი გათავისუფლებით მიღებულ დანაკარგს ვერც ის და ვერც მე ვერ შევაფასებთ, ეს სწავლულმა საბჭომ განსაჯოს! მანამდე ეს საკითხი გადაუჭრელი უნდა დარჩეს და კონფერენციას შეუძლია თავი დაიმშვიდოს, რომ ის დაზოგავს წელიწადში 1400 ქაღალდის რუბლს, რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს გოტტორპის გლობუსის ან მასთან არსებული ტავერნის შენახვაზე“ (Иодко 2011: 65 – 66).

კონფერენცია აღშფოთდა და 12 აგვისტოს გამართულ სხდომაზე ერთხმად დაადგინა: „არა მხოლოდ გათავისუფლდეს, როგორც ამას თავის უგუნურ წერილში მოითხოვდა, არამედ უსახელოდ გაირიცხოს აკადემიიდან, როგორც აკადემიკოსის და მასთან არსებული სასამართლოს მრჩევლის წოდების უღირსი“. აკადემია მას ადანაშაულებდა იმაშიც, რომ საზღვარგარეთ წაიღო და გამოაქვეყნა რუსეთში წარმოებული სამეცნიერო დაკვირვებების შედეგები; მაშინ, როცა დადგენილი იყო გამოსაქვეყნებლად რეკომენდაციისათვის ყველა ნაშრომი და თარგმანი აკადემიისთვის წარედგინა განსახილველად და მხოლოდ წინააღმდეგ შემთხვევაში მეცნიერს უფლება ჰქონდა გამოექვეყნებინა თავისი ნაშრომე-

[1] შტივერი ან სტივერი – ადრინდელი ფულადი ერთეული ჰოლანდიაში = 1/20 გულდენი.

ბი ნებისმიერ სხვა ადგილას. თუმცა, ამ გადაწყვეტილებამ დიდი ხნის განმავლობაში ყველა ინსტანცია მოიარა, შემდეგ კი მეფე ნაპოლეონთან ომში იყო ჩაბმული; ბრძანებულებას მხოლოდ 1817 წლის 11 მაისს მოეწერა ხელი და გამოქვეყნდა მცირეტირაჟიან გაზეთში „სანკტ-პეტერბურგის სენატის უწყებები“, რომელიც არათუ უცხოეთში არ იყო კითხვადი, არამედ რუსეთის იმპერიის ყველა ქალაქშიც კი ვერ ნახავდნენ (Иодко 2011: 66).

ამ კონფლიქტმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან დაუმსახურებელმა მოპყრობამ, გაანაწყენა გერმანელი მეცნიერი, რომელიც სიცოცხლის განმავლობაში რუსეთში აღარ ჩასულა.

ზემოთ თქმულიდანაც ცხადი ხდება, რომ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია რუს მეცნიერთა სიმცირეს განიცდიდა და დასახული მიზნების განსახორციელებლად უცხოელებს იწვევდა, რომელთაგან არაერთმა მიიღო მონაწილეობა აკადემიურ ექსპედიციებში. მათი უმრავლესობა საკმაოდ ახალგაზრდა იყო ისეთი საპასუხისმგებლო საქმეების შესასრულებლად, რასაც მათ ავალებდნენ. ფაქტია, რომ პირნათლად ემსახურა აკადემიას 14 წლის განმავლობაში, 23 წლის ასაკში, მიწვეული იოჰან ანტონ გიულდენშტედტი და იმედები გაუმართლა; უცნობია, რამდენად კმაყოფილები იყვნენ 22 წლის ჰაინრიხ თეოდორ ველეს შესრულებული სამუშაოებით, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ისიც უმკლავდებოდა დაკისრებულ მოვალეობას ა. ა. მუსინ-პუშკინის ხელმძღვანელობით. 21 წლის ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროტთან დაწყებული თანამშომლობა კი აკადემიას კონფლიქტით დაუმთავრდა, თუმცა კავკასიით დაინტერესებული საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა მისი არაერთი ნაშრომი.

ლიტერატურა

1. **გელაშვილი 2016:** გელაშვილი გ., იულიუს კლაპროტი თბილისის შესახებ. კრებული – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. 2016, № 2 (19). გვ. 229-230.
2. **გელაშვილი 1962, 1964:** გიულ-დენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტ. I, თბ., 1962; ტ. II, თბ., 1964.
3. **კანდელაკი 2001:** კანდელაკი დ., გერმანელ მეცნიერთა და მოგზაურთა შრომები საქართველო – რუსეთის ურთიერთობის შესახებ (XIX საუკუნის I ნახევარი), თბ., თსუ გამომცემლობა. 2001.
4. **კანდელაკი 2009:** კანდელაკი დ., ევროპელები კავკასიის შესახებ, გამომცემლობა „უნივერსალი“. თბ., 2009.
5. **კანდელაკი 2017:** კანდელაკი დ., რუსეთი და კავკასია (მე-19 საუკუნის უცხოური წყაროების მიხედვით). პირველი საერთაშორისო კონფერენციის „ისტორია, ხელოვნება, ისტორია და კულტურა შავი ზღვის რეგიონსა და სამხრეთ კავკასიაში“, სტატიების კრებული. 2017. გვ. 269-275.
6. **კანდელაკი 2003:** კანდელაკი დ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები გერმანულ წყაროებში, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2003.
7. **ქიქოძე 1999:** ქიქოძე მ., ა. ა. მუსინ-პუშკინის ექსპედიცია საქართველოში (1799-1805 წწ.). საისტორიო ალმანახი კილო. 4. მემატიანე. თბ., 1999.
8. **ჟორდანია 2005:** ჟორდანია ო., ა. ა. მუსინ-პუშკინი და საქართველო (1799-1800). კრებული: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. IV. თბ., 2005.
9. **Александровская О. А., Широкова В. А., Романова О. С., Озерова Н. А. 2012:** М. В. Ломоносов и академические экспедиции XVIII века (Интернет-публикация). Авторы-составители: О. А. Александровская, В. А. Широкова, О. С. Романова, Н. А. Озерова. Институт истории естествознания и техники им. С. И. Вавилова Российской академии наук, 2012. https://www.ras.ru/lomoexpedition/f58eac8f-58e7-46a5-a238-93fd3c0c698a.aspx
10. **Аталиков 2010:** Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. Сост. В. Аталиков. Нальчик: Издательство М. и В. Котляровых, 2010.
11. **Берулава 1989:** Берулава Г., У истоков русского грузиноведения (XVIII век). Изд-во Тбилисского университета. Тб., 1989.
12. **Бондарь 2016:** Бондарь Л. Д., Лингвистические экспедиции Императорской академии наук на Кавказе в XVIII-XIX вв.: сиановление отечественной иранистики. Ученые записки Санкт-Петербургского академического университета. № 2 (54), 2016. С. 28-40. http://ranar.spb.ru/files/visual/RNF_2016/16.%20Bondar_Linquist_Caucasus.pdf

13. **Бугаев 2022:** Бугаев Д. С., Транспортная труднодоступность Грузии в 1770-ые-1860-ые гг. Genesis: исторические исследования. 2022. № 2. С. 1-13. DOI: 10.25136/2409-868X.2022.2.34691 URL:https://nbpublish.com/library_read_article.php?id=34691
14. **Гнучева 1940:** Материалы для истории экспедиций Академии Наук в XVIII и XIX веках: Хронологические обзоры и описание архивных материалов. Сост. В.Ф. Гнучева. М.; Л. : Изд-во АН СССР, Вып. 4, 1940.
15. **Иодко 2011:** Иодко О. В., Генрих Юлий Клапрот. От Китая до Кавказа через Санкт-Петербург. Немцы в Санкт-Петербурге (XVIII-XX вв.). Биографический аспект. Вып. 6. СПб., 2011. С. 55-73. https://lib.kunstkamera.ru/files/lib/978-5-88431-176-3/978-5-88431-176-3_03.pdf
16. **Копелевич 1997:** Копелевич Ю. Х., Иоганн Антон Гильденштедт. 1745-1781. М., Наука, 1997. https://www.ras.ru/lomoexpedition/about.aspx
17. **Смагина 2007:** Смагина Г. И., Санкт-Петербургская Академия наук и просвещение в России XVIII века: образование и распространение знаний https://www.dissercat.com/content/sankt-peterburgskaya-akademiya-nauk-i-prosveshchenie-v-rossii-xviii-veka-obrazovanie-i-raspr
18. **Ткаченко 2015:** Ткаченко Д. С., Экспедиции Академии наук в становлении образа Кавказа в Российской империи рубежа XVIII-XIX вв. Научно-теоретический и прикладной исторический журнал «История: факты и символы». N 4, 2015. http://historic-journal.ru/2015/ekspedicii-akademii-nauk-v-stanovlenii-obraza-kavkaza-v-rossijskoj-imperii-rubezha-xviii-xix-vv/
19. **Чагин 1991:** Муханов П. А. Сочинения, письма. Издание подготовлено Г. В. Чагиным. Ирк., Восточно-сибирское книжное издательство. 1991.
20. **Феклова 2012:** Феклова Т. Ю., Экспедиции Академии наук в первой половине XIX в.: научно-организационные и административные аспекты. Диссертации по гуманитарным наукам http://www.dissercat.com/content/ekspeditsii-akademii-nauk-v-pervoi-polovine-xix-v
21. **Fröhlich 2002:** Fröhlich A., Landschaftsmalerei in Sachsen in der zweiten Hälfte des 18. Jahrhunderts. Weimar. 2002.
22. **Grigorjew 1975:** Grigorjew A., Ein unvollendeter Brief nach Bautzen, Bautzen, 1975.
23. **Klaproth 1812-1814:** Klaproth H. J. von., Reise in den Kaukasus u. nach Georgien unternommen in d. J. 1807 u. 1808, mit Anhang Kaukas. Sprachen. Halle, Berlin. 1812-1814.
24. **Klaproth 1814 a:** Klaproth H. J. von. Geographisch-historische Beschreibung des östlichen Kaukasus, zwischen den Flüssen Terek, Aragwi, Kur und dem Kaspischen Meere. Verlag des Landes-Industrie-Comptoirs, Weimar. 1814.
25. **Klaproth 1814 b:** Klaproth H. J. von. Beschreibnung der Russischen Provinzen zwischen dem Kaspischen und Schwarzen Meere. Berlin, 1814.

26. **Krautz 1992:** Krautz A., Die abendteuerliche Reise des Malers Heinrich Theodor Wehle von der Spree bis zum Kaukasus. Bautzen. 1992.
27. **Lemper 1978:** Lemper E. H., Heinrich Theodor Wehle. Görlitz. 1978.
28. **Mirtschin 2005:** Mirtschin M., Die Rezeption von Leben und Werk Heinrich Theodor Wehles. Eine Studie zur sorbischen Kulturgeschichte. In: Im Reich der schönen, wilden Natur. Der Landschaftszeichner Heinrich Theodor Wehle 1778-1805. Bautzen. 2005. S. 92-111.
29. **Pallas 1787-1791:** Güldenstädt I. A., Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge. I-II. hrsgb. von P.S. Pallas. SPb. 1787-1791.

FOREIGNERS TRAVELLING IN THE CAUCASUS IN THE SERVICE OF THE RUSSIAN ACADEMY OF SCIENCES

Dali Kandelaki

S U M M A R Y

From 1725, the St. Petersburg Academy of Sciences was also involved in the process of exploring the Russian Empire. The government of the empire tried in every possible way to collect various materials about the country. The Caucasus was also included in the research area. It is important to study the identity of the members of the expedition sent by the Academy of Sciences to the Caucasus in the second part of the 18th century and the first decade of the 19th century, the real tasks given to them and the results of their research. It should be noted that the members of the scientific expedition were mostly scientists of German origin. Some of them were born in Russia, others were invited.

In 1768 a young scientist, 23-year-old Johann Anton Güldenstedt was invited to the St. Petersburg Academy of Sciences to participate in an expedition planned by the Academy to various regions of Russia, including the North Caucasus and Georgia. Due to the collected invaluable material, Güldenstedt is even considered the founder of Caucasian Studies. Along with

scientists, people of various professions were necessary for these expeditions, namely artists, translators, escorts and others. A young, 22-year-old German artist, Heinrich Theodor Welle, took part in one of the expeditions. His paintings with the views of Georgia and landscapes of Tbilisi are exhibited in German museums. His notes about the trip to the Caucasus have not yet been traced, but based on his paintings and Musin-Pushkin's notes, many scholars have tried to reconstruct the path that the German artist took during his travels. The Academy sent the German linguist-orientalist Heinrich Julius von Klaproth to the Caucasus in 1807 to conduct philological, ethnographic and historical research. He was tasked to critically examine and supplement the works of his predecessor scholar experts on the Caucasus. Klaproth's journey to the Caucasus was reflected in several books. It can be claimed that after Güldenstedt, Klaproth ranks first among the learned travellers with his knowledge and abundance of information.

It should be noted that all expeditions, regardless of their composition, had clear military-strategic goals. The information gathered by the members of the expedition was reflected in their papers and reports.